



21 დეკემბერი, 2017



ხუთშაბათი, №13 (2215)

საშობაო-სახალწლო რიტუალები ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით



83. 5

„სურვილების ხე“ და აკინძული ნატვრები

რა სურვილები ამოკრავებთ უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს, რაზე მოცნობენ და რის ახდენას ისურვებდნენ 2018 წელს — ამის თაობაზე, ალბათ, ინფორმაცია უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელოვებს! — ვინ იცის — იქნებ სწორედ მათ შეაქმნონ „სურვილების ხეზე“ აკინძული ნატვრების ასრულება...

83. 8




გილოცავთ ახალ 2018 წელს!

განსაკუთრებული წელი მოდის ჩვენი უნივერსიტეტისათვის, რადგან 100 წელი გვისრულდება. მთელს უნივერსიტეტს — უპირველესად სტუდენტებს, პროფესორებს, ჩვენს ადმინისტრაციას და ყველა უნივერსიტეტელს, ამ უზარმაზარ არმიას, რომელიც საქართველოს მასშტაბით 300 000-ს ითვლის, ვულოცავ დამდეგ 2018 წელს და ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს! ამჟამინდელ უნივერსიტეტელებს კი ვუსურვებ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდეს, ჰქონდეს კარგი მიღწევები და ყველას გვეამაყოს ჩვენი ალმა მატებით, რომელსაც საიუბილეო წელს ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე ელოდება!

83. 2 გიორგი შარვაშიძე, თსუ-ის რექტორი



დღეს აღდგენილი „უნივერსიტეტის საზოგადოების“ მიზანი უნდა გახდეს უნივერსიტეტის ყოველმხრივ გაძლიერება



2017 წლის 15 დეკემბერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული დღეა — ამ დღეს აღდგა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“, რომელმაც საუკუნის წინ კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის დაარსება განაპირობა. ამავდროულად დაიწყო უნივერსიტეტის საუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნაც! „ქართული უნივერსიტეტის“ საზოგადოების აღდგენა შეაკრავს სტუმრებს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ამცნო და განაცხადა, რომ საზოგადოება, უპირველესად, ორიენტირებული იქნება ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენაზე და მხარდაჭერაზე: „სტუდენტი არის ცენტრი ყველაფრისა, რის გარშემოც აიგო უნივერსიტეტი თავის დროზე და დღემდე ეს პრინციპი არის ურყევი. დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ კონსტიტუციაში დავაფიქსიროთ უნივერსიტეტის ამტომობა. ეს არის გაგრძელება იმ ისტორიისა, რომელიც 100 წლის წინ დაიწყო“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ. „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ აღდგენის ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანიშვილი, უწმინდესისა და უნეტარების, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, ქალაქ თბილისის მერი კახა კალაძე და მოწვეული სტუმრები. საზოგადოება, რომელიც უნივერსიტეტის განვითარებაზე ზრუნვას ისახავს მიზნად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და მის მხარდამჭერებს გააერთიანებს. მას ცნობილი ქართველი მეცნიერი, ლუდის (შვედეთი) უნივერსიტეტის პროფესორი ზაალ კოკაია უხელმძღვანელებს.

83. 3

ნომერში

■ დიმიტრი კორძაიას „უჩინარი“ ახალი წელი



83. 10

რედაქტორის სვეტი

■ ვისაც უნდა, რომ ხედავდეს, ის აუცილებლად დაინახავს... ვისაც არა - მისთვის ნათელიც კი ბნელია...

83. 2

■ როგორ ეზადება თსუ-ის ბიბლიოთეკა საუკუნოვანი იუბილუების აღსანიშნად

83. 7

■ ყველასთვის ხელმისაწვდომი — ერაზმუს+ და სწავლა საზღვარგარეთ



83. 11

■ თსუ-ის გუნდი ევროპული იმპირიული სასამართლო პროცესების შეჯიბრში პირველ ადგილზე გავიდა

83. 13



■ ილიას გზა მართალი გზაა...

83. 14

■ „AVE, EVA!“ — დათო მალრადის წიგნის პრეზენტაცია



83. 10

■ წარმატების წელი სპორტსა და კულტურაში

83. 15



დღეს აღდგენილი „უნივერსიტეტის საზოგადოების“ მიზანი უნდა გახდეს უნივერსიტეტის ყოველგვარი საქმიანობა

100 წლის წინ...

„ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“ 1917 წელს შეიქმნა და კავკასიის რეგიონში პირველი ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნებას ისახავდა მიზნად. უნივერსიტეტის საზოგადოების დაფუძნებლები პირველად 1917 წლის 12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში შეიკრიბნენ. მას სულ 28 კაცი ესწრებოდა. კრებას ხელმძღვანელობდა ექვთიმე თაყაიშვილი.

კრების დადგენილების თანახმად, დაფუძნდა „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის“ საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. ამ კრებაზე ისტორიული სიტყვა წარმოთქვა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა დაასაბუთა: „ყოველი ერის მეცნიერებას მსოფლიო გონებრივ შემოქმედებისათვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რადგანაც იგი საერთო კაცობრიობის საღაროში საკუთარ წვლილს შეიტანს და თავისებურებას გამოიჩინოს... ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევადიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მე-



გიორგი მარგველაშვილი:
– აქედან ნათავდა იმედი დავაარდელი სახელმწიფოაზრობის აღდგენისა.



მეფე ბიძა:
– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის სულიერი ღირსებებისა და ცანცარი სულიერი და ახლასიერი აზროვნების გადარჩენისა.



გიორგი შარვაშიძე:
– დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ აონსტიტუციონში დავაფიქსიროთ უნივერსიტეტის აპტონომია, ეს არის გაგრძობა იმ ისტორიისა, რომელიც 100 წლის წინ დაიწყო.

ზაალ ჯოჯია:
– სხვა დანებარება-თან ერთად, ვიბევა-ვაბთ გაბარიალური და ფინანსური სა-აითხების მოგვარება-ბაზაც – იქნება ეს საწარმო შესატანი თუ სხვა წყაროები – ალბათ დავაპე-პირდაპირ ბიზნეს-საქტორს და სხვა დონორებსაც, რათა მოვიხილოთ ფინანსები, რომელსაც უნივერსიტეტი სხვა-დასხვა პროექტების განხორციელებისთვის გამოიყენებს.

ლობაში ჩაატარებდა მოსამზადებელ სამუშაოებს უნივერსიტეტის გახსნისათვის. საზოგადოება ორი მიმართულებით მუშაობდა — 1) ინტელექტუალური შრომა, რომელიც განსაზღვრავდა — ვინ უნდა ყოფილიყო მოწვეული პირველ ქართულ უნივერსიტეტში, ვის რა საგანი უნდა წაეკითხა და ა.შ. და 2) ფინანსების მოძიება.

საზოგადოებაში განეწიანდა საქართველოში მცხოვრები ბევრი ადამიანი. საარქივო დოკუმენტებში შემონახულია მონაწილეთა სია, ვინაობა, მათ მიერ გადახდილი თანხა და ა.შ. დადგენილი იყო, რომ საზოგადოების წევრობისთვის ერთჯერადად იხდიდნენ 300 მანეთს და შემდეგ ყოველწლიურად 25 მანეთს.

1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დაფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გახსნისთვის კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა.

1917 წლის 3 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველ საერთო კრებაზე ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის „დებულებანი და წესდება წარადგინა. მალევე — 6 დეკემბერს, მან საზოგადოების გამგეობის კრებას გააცნო უნივერსიტეტის მომავალი სასწავლო წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 200 000 მანეთით განისაზღვრა, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იქნებოდა გახსნილი. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება უნივერსიტეტში მხოლოდ 1918 წლის სექტემბრიდან შეიძლებოდა, ხოლო სამკურნალო ფაკულტეტის გახსნა ორ წელზე ადრე ვერ მოხერხდებოდა. დიდხანს კამათობდნენ უნივერსიტეტის გახსნის ზუსტ თარიღთან დაკავშირებით. შემონიშნული თანხის სიმცირის გამო გამგეობის ზოგიერთი წევრი უნივერსიტეტის გახსნის გადადებას უჭერდა მხარს, ივანე ჯავახიშვილი კი პრინციპულად მოითხოვდა, რომ უნივერსიტეტი უეჭველად 1918 წლის იანვარში გახსნილიყო.

1917 წლის 15 დეკემბერს (ძვ. სტილით 2 დეკემბერს) ამიერკავკასიის კომისარიატმა უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულება საბოლოოდ დაამტკიცა. შედეგად, ზუსტად 100 წლის წინ, 1917 წლის 15 დეკემბერს (ძვ. სტილით 2 დეკემბერს) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიულად დაფუძნდა, რაშიც სწორედ „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებამ“ შეიტანა დიდი წვლილი (მასალები ნიგნიდან „პროფესორთა საბჭოს ოქმები“).

100 წლის შემდეგ

ზუსტად 100 წლის შემდეგ, 2017 წლის 15 დეკემბერს „უნივერსიტეტის საზოგადოებამ“ კიდევ ერთხელ აიღო პასუხისმგებლობა, რომ კურსდამთავრებულებთან აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მყარად დაიკავებს ადგილს მსოფლიოს მონივრე უნივერსიტეტებს შორის.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ღონისძიებაზე ისაუბრა უნივერსიტეტის განსაკუთრებულ ფუნქციაზე, რომელიც მან ქართული სახელმწიფოს გაძლიერებაში შეიტანა და აღნიშნა, რომ „აქ საფუძველი ჩაეყარა იმ პატრიოტულ სულიკვლევას, რომელსაც უნდა მოეხდინა ახალი დამოუკიდებლობის აღდგენა, შეექმნა ახალი თაობა, რომელიც იტივრთავდა ქვეყნის მომავალ მართვას; აქედან ანათებდა იმედი დეკარტული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. როცა ვსაუბრობთ იმ ღვაწლზე, რომლითაც შეიქმნა ახალი სახელმწიფო, უდიდესი ინტელექტუალური, ემოციური და პატრიოტული წვლილი, სწორედ უნივერსიტეტზე მოდის“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა ისაუბრა იმ სახელმწიფო

გადანწყვეტილების შესახებ, რომლის თანახმადაც, უმოკლეს ხანში დაიწყება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის — თსუ-ის კორპუსის რეაბილიტაცია; ასევე, სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტსა და უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET). „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო გაცილებით უფრო დიდი ღირებულება და ფასეულობა, ვიდრე ეს არის მხოლოდ საგანმანათლებლო კერა. ეს ყოველთვის იყო კულტურის კერა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის ბურჯი იმ ურთულესი წლების განმავლობაში, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

უნივერსიტეტის საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე გამაზვილა ყურადღება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გაისადა მეცნიერების ფესტივალი უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება. „დღეს აღდგა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“, სადაც ყველას აქვს საშუალება, რომ თავისი წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის განვითარების ძალიან მნიშვნელოვან საქმეში. მინდა, მივულოცო უნივერსიტეტელებს და მთელ საქართველოს დღევანდელი ძალიან მნიშვნელოვანი დღე. განათლების და მეცნიერების სამინისტრო სხვა მრავალ პროექტთან ერთად დაიწყებს 3000 სტუდენტისთვის გათვლილი საერთო საცხოვრებლის მშენებლობას“, — განაცხადა მან.

უნივერსიტეტში შეკრებილი საზოგადოება დალოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ მეუფე შიომ, რომელმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი უნივერსიტეტის დამსახურებას ერის სულიერების შენარჩუნებაში: „უნივერსიტეტის დაარსება იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. იგი, საგანმანათლებლოსთან ერთად, არის სულიერი ღირებულებების ცენტრი, ცენტრი სულიერი და ეკლესიური აზროვნების გადარჩენისა“, — აღნიშნა მან.

გიორგი ავირიანოვი:
– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო გაცილებით უფრო დიდი ღირსება და ფასეულობა, ვიდრე ეს არის მხოლოდ საგანმანათლებლო აქა.



დღეს აღდგენილი „უნივერსიტეტის საზოგადოების“ მიზანი უნდა გახდეს უნივერსიტეტის ყოველმხრივ გაძლიერება

გვ-3 გვ-დან

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების მნიშვნელობაზე ისაუბრა საზოგადოების თავმჯდომარემ, თსუ-ის კურსდამთავრებულმა, ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის პროფესორმა ზაალ კოკაიამ: „უნივერსიტეტი არის არა მხოლოდ ის ადგილი, სადაც ყვალბობებით როგორც პროფესიონალები, მოაზროვნეები, არამედ, როგორც საზოგადოების წევრები. უნივერსიტეტი ყველასია. მას არ აქვს სოციალური, ეროვნული, რელიგიური, გენდერული, პოლიტიკური თუ სხვა კუთვნილება. ის ეკუთვნის საზოგადოებას. ბუნებრივია, ჩვენ ყველას გვიჩნდება სურვილი, რომ, გარკვეულნილად, ხარკი გადავუხადოთ უნივერსიტეტს — ის, რაც ჩვენ მივიღეთ უნივერსიტეტში და გაგვყვამთელი ცხოვრების მანძილზე, შეძლებისდაგვარად უკან დავუბრუნოთ — შევიტანოთ ჩვენი წვლილი ალმა მატერის კეთილდღეობასა და შენებაში!“ — მიმართა საზოგადოებას ზაალ კოკაიამ.



პრაქტიკულად ყველა დიდი ნაბიჯის დასაწყისი საქართველოში. დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსიტეტი და უნივერსიტეტელები კიდევ მეტად იაქტიურებენ, რომ ხვალინდელი საქართველო იყოს უფრო მშვიდი და მდიდარი.

მეც მამაა მასაქლალოა — ჩემი წვლილი უნივერსიტეტის განვითარებაში მინიჭებულ მამაში

მისო სვიმონიშვილი, ბიზნესმენი, თსუ-ის კურსდამთავრებული:

— 100 წლის შემდეგ ისევ დაღვინა ის დღე, როცა ჩვენი სახელოვანი თანამემამულეების მიერ დაარსებული საზოგადოება ახალ სიცოცხლეს იძენს. მაშინ განათლება იყო ჩვენი ქვეყნის წარმატების ერთადერთი გზა. დღესაც იგივე მდგომარეობაშია საქართველო და ვიცით, რომ განათლების გარეშე არაფერი გამოვა. ეს კერა, სადაც ახლა ჩვენ ვდგავართ, იმ შემოწირულობებით შეიქმნა, რომელსაც ამ საზოგადოებამ მოუყარა თავი. მიხარია, რომ მომინვიეს უნივერსიტეტის საზოგადოების აღდგენის ღონისძიებაზე და მეც შეძლება შესაძლებლობა — ჩემი წვლილი შევიტანო უნივერსიტეტის განვითარების მნიშვნელოვან საქმეში.

მიხარია, რომ მასაქლალოა მამას — ამ ისტორიულ მოვლენაში მივიღო მონაწილეობა

შოთა ცხოვრაპაშვილი, პროფესორი, თსუ-ის კურსდამთავრებული:

— ამ საზოგადოების აღდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტის განვითარებისთვის. აქ მკ წელი გავატარე, ჯერ, როგორც სტუდენტმა, ხოლო შემდეგ უკვე, როგორც გეოგრაფიის კათედრის თანამშრომელმა და გამგემ. ორ წელიწადში 100 წლისა გავხდები. მიხარია, რომ მომინვიეს და შესაძლებლობა მაქვს — ამ ისტორიულ მოვლენაში მივიღო მონაწილეობა. უნივერსიტეტი იყო და არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების კერა და ყველა უნივერსიტეტელმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს მის განვითარებასა და განმტკიცებაში.

ეს დღე არის არა მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტის, არამედ სრულიად საქართველოს და ყველა უნივერსიტეტელის დღესასწაული

ლალო პაპაშვილი, აკადემიკოსი, თსუ-ის კურსდამთავრებული:

— 100 წლის წინ ამ საზოგადოების შექმნით საფუძველი ჩაეყარა ქართულ


უნივერსიტეტს. ეს იყო სამართლებრივი დაბადების დღე, თუმცა უნივერსიტეტი გაიხსნა მაშინ, როცა პირველი ლექცია ჩატარდა. ქართული ცნობიერებისთვის ეს ნიშნავდა შემობრუნებას საქართველოსკენ და იმ ტრადიციებისკენ, რომელიც მას, ჯერ კიდევ, შუა საუკუნეებში — გელათის და იყალთოს აკადემიების სახით გააჩნდა. ეს იყო ქართველი ხალხის სწრაფვა განათლებისა და მეცნიერებისკენ და რეალურად ასეც მოხდა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა არა ერთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების თუ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის, მათ შორის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკვანი. ამიტომ ეს დღე არის არა მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტის, არამედ სრულიად საქართველოს და ყველა უნივერსიტეტელის დღესასწაული.

მიმარინა, რომ ახლად აღდგენილი საზოგადოებას იმ სულიანკვითაში უნდა იყოს განმსჭვალული, რომლითაც — მისი წინამორბედი

ზურაბ ბაიპარაშვილი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, თსუ-ის კურსდამთავრებული:

— თბილისის უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, გაიხსნა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ მხარდაჭერით. ამ საზოგადოების შექმნით ივანე ჯავახიშვილმა გადადგა პირველი ნაბიჯი უნივერსიტეტის დასაარსებლად და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რადგან სახელმწიფო მხოლოდ ხელს უშლიდა მიზნის განხორციელებაში. „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებაში“ გაერთიანდა საზოგადოების საუკეთესო ნაწილი და ყველა ფენის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა მის მუშაობაში. ამ საზოგადოების გამგეობის სხდომებზე ჩამოყალიბდა მომავალი უნივერსიტეტის სტრუქტურა, ამ საზოგადოებას გააცნო ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის დებულება, ამ საზოგადოების წევრებმა დაადგინეს მონეული მასწავლებლების სია და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მაინცდამაინც სერიოზული სახსრების შეგროვება ვერ მოხერხდა, მაინც, ამ საზოგადოებამ დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტის დაარსებაში. მან მიიტანა საქმე 15 დეკემბრამდე, როცა ოფიციალურად დამტკიცდა ჩვენი უნივერსიტეტის დებულება. აქედან იწყება უნივერსიტეტი.

პირადად მე აღფრთოვანებული ვარ ამ იდეით, რომელიც უნივერსიტეტის რექტორს გიორგი შარვაშიძეს ეკუთვნის, და მიმარინა, რომ ახლად აღდგენილი საზოგადოებაც იმ სულიანკვითებით უნდა იყოს განმსჭვალული, რომელითაც — მისი წინამორბედი. „ქარა-



ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი ქართული უნივერსიტეტის წესდება

თული უნივერსიტეტის საზოგადოების“ პირველი შემადგენლობის მიზანი იყო — დაეფუძნებინა უნივერსიტეტი, დღეს აღდგენილი საზოგადოების მიზანი კი უნდა გახდეს უნივერსიტეტის გაძლიერება. იმედი მინდა ვიქონიო, რომ წლების შემდეგ მომავალი თაობა გაიხსენებს, რამდენად შეუწყო მან ხელი 100 წლის უნივერსიტეტის განვითარებას.

სტუდენტებს უნდა დაეხმარათ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და კრეატიული ინდუსტრიის განვითარებაში.

მისილ გიორგაძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, თსუ-ის კურსდამთავრებული:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო პირველი უნივერსიტეტი კავკასიაში და მან საფუძველი ჩაუყარა პირველი ევროპული ტიპის ქართულ სკოლას. ბუნებრივია, 100 წლის იუბილე მნიშვნელოვანი, სიმბოლური და ჩემთვის, როგორც უნივერსიტეტელისთვის, ამალეღვებელია.

„უნივერსიტეტის საზოგადოებას“, რომელიც დღეს აღდგა, დიდი მისია აქვს შესასრულებელი და ჩვენ, ჩვენი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში, მხარში უნდა დავუდგეთ მას. ვფიქრობ, ძალიან აქტიური ინტერაქცია უნდა იყოს სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან. ჩვენი მხრიდან კი უნდა დავეხმაროთ მათ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და კრეატიული ინდუსტრიის განვითარებაში, სადაც სტუდენტები წამყვანი იქნებიან. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ხელს შეუწყობს მათ ყველა სასიკეთო ღონისძიებაში.

**მომამზადა
ბაია ტორაძე**

ფაქტი/შეფასება/კომენტარი

ივ ხალხს, რომელსაც დღეს დაევალება ამ საზოგადოების გაძლიერება, არც გაუწყვტია კავშირი თავის წინაპარ საზოგადოებასთან

თამაზ კვაჭანტირაძე, პროფესორი, თსუ-ის კურსდამთავრებული:

— „უნივერსიტეტის საზოგადოების“ აღდგენა დიდი საქმეა. დღეს ყველაფერი „გატრიზავებულია“ და საზოგადოების ერთ ნაწილში, სამწუხაროდ, აბუჩად აგდების განწყობაა. არადა, უნივერსიტეტი მართლა წმინდა ადგილია. მაშინ, როდესაც დიდმა ივანემ ეს უნივერსიტეტი შექმნა, მისი ფუნქცია საქართველოს გადარჩენა იყო და დიდი მოსამზადებელი ბალავარი ჩადო უნივერსიტეტმა საქართველოს გადასარჩენად. ვინ იცის, იქნებ დღესაც დადგას ის ჟამი, როდესაც ჩვენ ეროვნულ გადარჩენაზე უნდა ვიზრუნოთ? ამიტომ, ამ საზოგადოების აღდგენა ძალიან მნიშვნელოვანია. იმ ხალხს, რომელსაც დღეს დავალება ამ საზოგადოების გაძლიერება, არც გაუწყვტია კავშირი თავის წინაპარ საზოგადოებასთან. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ, მცირე წვლილი შევიტანოთ და გავაგრძელოთ დიდი ივანეს დაწყებული საქმე.

უნივერსიტეტი და უნივერსიტეტელები კიდევ მეტად იაქტიურებენ, რომ ხვალინდელი საქართველო იყოს უფრო მშვიდი და მდიდარი

ნოდარ ხალაბიძე, პროფესორი, თსუ-ის კურსდამთავრებული:

— დღეს არის 100 წლის იუბილე მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოფიციალურად დაფუძნდა. მიხარია, რომ „უნივერსიტეტის საზოგადოების“ აღდგენის ინიციატივა ზუსტად ამ დღეს გაცოცხლდა და მეც ამ პროცესის მონაწილე ვარ. უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება. ის არის





საშობაო-საახალწლო რიტუალები ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით

ბაია ბორაძე

საქართველოს ტრადიციულ ყოფაში დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნება ქრისტელობა და ახალი წლის შემობრძანება. გასაბჭოებამდე ახალი წლის დღესასწაული საშობაო სარიტუალო ციკლის ნაწილი იყო და ერთიანი ფორმითა და სახით იხსენიებოდა სახელწოდებით — „შობა-ახალი წელიწადი“.



შობა-ახალი წელს სხვადასხვა მხარეში რამდენიმე სახელით იხსენიებენ

ქრისტელობა საეკლესიო კალენდრით, ბუნებრივია, 25 დეკემბერს აღინიშნება. ეს თარიღი, საერო ახალი სტილით, 7 იანვარს უწევს. შობის დღესასწაულს ტრადიციულ ქართულ ყოფაში, სხვადასხვა მხარეში, რამდენიმე სახელით იხსენიებენ: შობა, ქრისტეშობა, ქრისტეშობა, ქრისტე და სხვ. მრავალგვარი რიტუალებით გამოირჩეოდა შობის წინა დღეც (კორკოტობა, წანდილობა, ჭანტილობა, მრავალწლობა, ყორბოულობა, თხილობა...).

შემოგვრჩა ალილოზე ჩამოვლის ტრადიცია: ახალგაზრდები (ზოგან ბავშვები) — მეალილოები, ანუ ქრისტეს მახარობლები — „ალილოს“ გალობით ჩამოივლიდნენ სოფელს, დალოცავდნენ ყოველ ოჯახს და მათგან მიიღებდნენ შესანიშნავს. მაგალითად, სვანეთში ამ საღამოს სრულდებოდა სვანური საგალობლები „ალილო“ და „კვირია“. შობას ბევრგან იკვებოდა საშობაო ღორი, მამლები. შობას აღმოსავლეთ ქართველი მთიელები ხატში მიდიოდნენ, ხოლო იქ, სადაც, მოქმედი ეკლესია იყო, საშობაო ნირვა-ლოცვას ესწრებოდნენ. შობა, ცხადია, უქმე იყო. საზეიმოდ აღინიშნებოდა შობის შემდეგი დღეც, როდესაც საეკლესიო კალენდრით არის კრება ყოველდღეობისა დღისმშობლისა.

თვითონ ახალი წელი საქართველოს სხვადასხვა მხარეში რამდენიმე სახელით შემოგვრჩა: „ახალი წელი“, „წელიწადის თავი“, „წელწობა“, „ზომხა“.

როდისა და გვამს ახალი წლის რიტუალის ამსახველი საისტორიო ცნობები?

საისტორიო წყაროთაგან უმნიშვნელოვანესია XVI საუკუნის ძეგლის — ხელმწიფის კარის გარიგების ცნობა. ეს წყარო ასახავს გაერთიანებული საქართველოს სამართლებრივი მოწყობის ფორმას და მასში იხსენიება სამეფო კარზე აღნიშნადი რამდენიმე დღესასწაულიც, მათ შორის, ახალი წლის დღესასწაულიც. წყაროს ცნობით, ახალ წელს ძველად ერქვა „წელიწადის თავის დღესასწაული“; წყარო აღწერს სამეფო კარის საახალწლო ტრადიციებს: მეფის შემოსვის წესს, იკვებება მონადირეთუხუცესის განსაკუთრებული როლი საახალწლო რიტუალში. მოთხრობილია სამეფო სუფრის შესახებაც: „საღვინეთ წინ ქვე დასმენ მეფესა მალა-სკამითა, ტაბლას წინ დაუდგმენ და ველურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგმენ“. ცნობილი ხდება, რომ საახალწლოდ მილოცვა, ნადიმი, ნადირობა ტრადიციული წესი იყო სამეფო კარისათვის. როგორც ვხედავთ, საშობაოდ და საახალწლოდ სუფრისათვის ტახის (შემდგომ, შინაური ღორის) თავის მომზადება ძველ ქართული ტრადიციიდან მომდინარე ყოფილა.

ახალი წლის დღესასწაული საქართველოს ყველა მხარეში აღინიშნება, მათ შორის, გამუსლიმებულ ქართველთა შორისაც. დღესასწაულის არსი და მსვლელობა უნივერსალური ხასიათისაა, მაგრამ არის ზოგიერთი ლოკალური თავისებურებაც ამა თუ იმ მხარეში.

რა ძირითადი ნიშნები ახასიათებდა ამ დღესასწაულს?

ახალი წლის დღესასწაულის ზოგადი ნიშნები: საოჯახო სამზადისი იწყებოდა გარკვეული ხნით ადრე და მისი ზენიტი იყო 31 დეკემბერი, რომელსაც აგვირგვინებდა 1 იანვარი. ვიდრე ევროპიდან საახალწლო ნაძვის ხის ტრადიცია შემოვიდოდა და დამკვიდრდებოდა, ქართველებს გვქონდა ჩვენი საკუთარი საშობაო-საახალწლო სარიტუალო ხეების მრავალფეროვნება: სათარი (გუდამაყარში, მთიულეთში ეს იყო ხის მორი, რომელსაც წაუსვამდნენ ჯვრის სახისებურად თაფლსა და ერბოს, ზედ შესვამდნენ პატარა ბიჭს და სიმღერით შემოიყვანდნენ ოჯახში. ბიჭს გადმოსვამდნენ და სათარს კერიაში შეუკეთებდნენ). დაახლოებით ამ ტიპისა იყო სვანეთში ხული, ხოლო რაჭაში, ლეჩხუმში, გურიაში, ქართლში, იმერეთსა და სამეგრელოში არსებობდა თხილის ან სხვადასხვა მცენარის რტოებისაგან სარიტუალო ხის ან თაიგულის დამზადების წესი: გვერგვი, ჩიჩილაკი, გუიზი, კვიკვილი/სვიხვილი, კალპი, ბაზგარი.

საახალწლოდ მზადდებოდა საღვინისაგან საკვები: სარიტუალო პურები, ზედისკვერები, ბასილას კვერები, გოგა (სპეციალური ტვიფარით, პურის საბეჭდავით, სარიტუალო პურს

„დაბეჭდავდნენ“ ფშავ-ხევსურეთში). ამ დროს იკვებოდა საახალწლოდ ნასუქი ღორი, მზადდებოდა საცივი, გოზინაყი. ყოველ ოჯახში იდგებოდა სამეკვლეო მისალოცი ტაბლა (გობი, ხონჩა); წინასწარ შეიგულდნენ საშინაო და საგარეო მეკვლეებს, 31-შიც და პირველშიც ასრულდნენ საშინაო ლოცვის რიტუალს.

ზოგან ხატში (ჯვარ-ხატი ჰქვია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებულ სალოცავებს) ადიოდნენ და იქ ლოცულობდნენ. ასევე სწვეოდნენ შინაურ საქონელთან (სვანეთსა და თუშეთში — ხარი, მჭახელში — ხბო, კრავი) ერთად კერის გარსშემოვლა, ეზო-კარმიდამოს, ბაღ-ვენახისა და კალოს, შინაური ფრინველებისა და საქონლის დალოცვა (განსაკუთრებით გურიაში). მთიანეთში ასრულდნენ უმზრახად (ხმის ამოღებლად) წყალზე გასვლისა და იქ მუზობლბთან ერთად საახალწლო სიხარულის გაზიარების რიტუალს, ამ დღესვე წყაროს წყალს მოაპყურებდნენ კარ-მიდამოში და ა.შ. ახალი წლის ციკლი გრძელდებოდა მომდევნო დღეებშიც. ამ დღეებში იცავდნენ გარკვეულ აღკვეთებსაც.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს პოპულარულ თოვლის პაპას/ზაზუსას, ეს არის შედარებით ახალი ტრადიცია, რომლის წინამორბედიც ქართველებს გვყავდა მეკვლეს სახით (თოვლის პაპა საბჭოთა რუსეთის გავლენით დამკვიდრდა საქართველოში გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან).

ახალი წელი რაჭა-ლეჩხუმში

დასავლეთ საქართველოს მთაში, მაგალითად, რაჭაში, საახალწლოდ ტყიდან მოჭონდათ შემით სავსე მარხილი და მარადმწვანე ეკლიანი და კურკიანი მცენარეები (ბაძგარი). საღამოს იკვებოდა საკალანდო ღორი, ცხვებოდა განატყვები. ლოცვისას იხსენიებდნენ წმიდა ბასილს. ნავახშუმეც ამზადებდნენ „სამკლოვიაროს“ სარიტუალო ხონჩა, რომელზეც ალაგებდნენ ნუბარს, ვერცხლის ფულს, ხილს და სხვ.), აკეთებდნენ ლერწმის გვერგვს, აცხობდნენ ლობიან-განატყებს, რომელზეც ჯვარს გამოსახავდნენ და იგი „გვერგვზე“ იდებოდა.

ლეჩხუმში დილით ადრე დაკლავდნენ ღორს, მარხილით მოჭონდათ ბაძგარ შემოვლბურული შეშა. ამ ეკალს შემოავლებდნენ სახლს, ბედელს, ნალიას. აკეთებდნენ „ჩიჩილაკს“, „გვერგვს“. ცხვებოდა დიდი საოჯახო ტაბლა (სანესო პური), მასზე იდებოდა ფული და ტკბილეული. ყოველივე ეს თავსდებოდა გვერგვზე. საღამოს აცხობდნენ 6 საოჯახო ტაბლას და მეშვიდე დღე „სალოცავ ტაბლას“, უფროსი ქალი კერიასთან ოჯახის მშვიდობიანობას



როზეტა გუჯეიანი

შესთხოვდა უფალს. ნავახშუმეც მეკვლემკლოვიარე გავიდოდა სახლიდან დამხმარე სათავს-ნაგებობაში სადაც ღამეს ათენებდა, რათა დილით ოჯახში მეკვლედ შემოსულიყო.

ახალი წელი სვანეთში

სვანეთში საშობაო-საახალწლო საღვინისაგან ციკლი სხვადასხვა რიტუალს მოიცავდა. აქ ახალ წელს „ზომხა“, „კანდა“ ერქვა. 31 დეკემბერს ახალგაზრდების ჯგუფი სოფელს შემოივლიდა გალობითა და საკარნავალო ელემენტებითურთ. ოჯახები მთელი დღე საახალწლო სამზადისში იყვნენ, გვიან საღამოსთვის იკვებოდა საახალწლო ღორი, მზადდებოდა სარიტუალო საკვები, ცხვებოდა სალოცავად განკუთვნილი პურები, სრულდებოდა საოჯახო ლოცვა. საშინაო მეკვლე აიღებდა საახალწლო მისალოც ტაბლას და საბძელში ან რომელიმე სხვა დამხმარე სამურხევო ნაგებობაში იძინებდა, ხოლო დილით ადრე ლოცვით შეაბიჯებდა ოჯახში და შინაურებს ახალ წელს მიულოცავდა. ამის მერე მთელი ოჯახი ლოცულობდა. ლოცვა მიძღვნილი იყო „წლის შემცვლელი“ ძალის — ღვთისა და ბასილი დიდისადმი, ვისი საეკლესიო ხსენების დღეც იყო ძველით 14 იანვარი. ამის შემდეგ მოდიოდა გარეთა მეკვლე და ოჯახი მასთან ერთად საზეიმო სუფრას მიუსხდებოდა. კერიაში გუზგუზებდა სპეციალურად საახალწლოდ მოტანილი ხის მორი (ხულ), რომელიც რიტუალის ნაწილი იყო: მასზე შესვამდნენ ბიჭს, მორს მხრებზე გაიდებდნენ მამაკაცები და სიმღერით შემოიტანდნენ სახლში, წრიულად სამჯერ გარს შემოუვლიდნენ კერას, ბიჭს გადმოსვამდნენ, ხოლო მორს კერიის ცეცხლში შეუკეთებდნენ.



როგორ ეზაღება თსუ-ის ბიბლიოთეკა საუხროვანი იუბილეების აღსანიშნად

ბაია ბორაძე

ზუსტად საუკუნის წინ, თბილისში, ვარაზისხევე უკვე იდგა შენობა, რომელიც ერთი თვის თავზე სტუდენტთა პირველი ნაკადის მისაღებად ემზადებოდა.

ქართული საზოგადოებისთვის, რომელსაც მშობლიურ ენაზე წერაკითხვის ინტერესი ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა გაუღვივეს, ეს იყო მოვლენა, რადგან იქმნებოდა მეცნიერებაში წვდომის, განვითარებისა და ქვეყნის ევროპულ გზაზე დადგომის შესაძლებლობა.

1918 წლის 8 თებერვლის (ახ. სტ.) შემდეგ, როცა ივანე ჯავახიშვილის და მისი თანამებრძოლების თავდაუზოგავ მეცადინობას შედეგად ტფილისის უნივერსიტეტის გახსნა მოჰყვა, ეს ადგილი იქცა ცოდნის, განათლების, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და განვითარების იდეების სამჭედლოდ მთელს კავკასიაში.

2018 წელს უნივერსიტეტი 100 წლის ხდება. ეს თარიღი აღინიშნება იუნესკოს (UNESCO) ეგიდით და, მნიშვნელობის მასშტაბიდან გამომდინარე, ღონისძიებები მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

გაისად საუკუნე უსრულდება ასევე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა და მხოლოდ სამი წელი იარსება. ეს სამი წელი არის ის მყარი საფუძველი, რომელმაც დღევანდელი საქართველოს დამოუკიდებლობა განსაზღვრა.

საუნივერსიტეტო საზოგადოება უკვე დიდი ხანია ემზადება საუკუნოვანი იუბილეების მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებებით შესახვედრად. ამ ღონისძიებების ინიციატორთა რიგებშია თსუ-ის ბიბლიოთეკა, რომლის ჩამოყალიბების პროცესი, ფაქტობრივად, წინ უსწრებდა უნივერსიტეტის გახსნას (1917 წლის 19 დეკემბერს გამართულ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წინასწარ სხდომაზე, რომელზეც განიხილებოდა მომავალი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა და უნივერსიტეტში მიღების პირობები, ივანე ჯავახიშვილმა კოლეგებს გააცნო გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტის კიტა აბაშიძის ანდერძი, რომლის თანახმად, მისი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს გადმოეცა. აქედან ჩაეყარა საფუძველი თსუ-ის ბიბლიოთეკას, რომელიც დღეს რამდენიმე მილიონ წიგნს ინახავს).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების შესახებ გვესაუბრება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი:

— მომავალი წელი ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი, რადგან, გარდა იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლის ხდება, რამდენიმე



ტიერი ბერიშვილის შეხვედრა რექტორთან

თვეში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საუკუნოვანი იუბილეს აღინიშნება. მთელი საქართველო ემზადება ამ თარიღებისთვის, მათ შორის, უნივერსიტეტი და ჩვენი ბიბლიოთეკაც.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ გვაქვს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი, რომელიც ძირითადად ამზადებს ამ ღონისძიებებს, თუმცა მასში მთელი ბიბლიოთეკაა ჩართული.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავის აღსანიშნად ძირითადად დაკავებული ვიქნებით ახალი წიგნების გამოცემით. მისხარია, რომ ამ საქმეში მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სტუდენტებთან. სტუდენტური პროექტების ფარგლებში, ჩვენი რეკომენდაციით, რამდენიმე პროექტი იქნა მხარდაჭერილი. შედეგად, მომავალ წელს, მივიღებთ ცნობილი მეცნიერის ვლადიმერ ვოიტიჩის ნაშრომის — „ქართული დემოკრატიის“ თარგმანსა და გამოცემას.

ასევე გამოიცემა ძალიან საინტერესო ნაშრომი, კარლ კაუციუს „საქართველო — გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა — შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი“. უნდა გითხრათ, რომ არსებობს ამ ნაშრომის ინგლისური და გერმანული გამოცემები და აქამდე ქართულად არ თარგმნილა. ნაშრომი ებერტის ფონდთან თანამშრომლობით (მემორანდუმის ფარგლებში) მზადდება. თავად ვაკეთებ რედაქტირებას და გეტყვი, რომ ეს არის მართლა საინტერესო მასალა იმდროინდელი საქართველოს შესახებ. კაუციკი იმ პერიოდში აქ იყო და საკუთარი თავლით ნახა ყველა პროცესი, რასაც აღწერს. მართალია, ის სოციალისტი და პარტიული პოზიციიდან უყურებს მოვლენებს, მაგრამ არ არის მიკერძოებული და ყველას ვურჩევ, წაიკითხოს.

გაისად აღინიშნება ასევე ნოე ჟორდანიას დაბადების 150 წლისთავიც და გვინდა გამოცვეთ ალბომი, სადაც შევა ის დოკუმენტები, რომლებიც ნოე ჟორდანიას ცხოვრებასა

და მოღვაწეობას ასახავს. ეს იქნება უხვად ილუსტრირებული სამეცნიერო-საგანმანათლებლო-პოპულარული ხასიათის გამოცემა, რომლის შედგენაშიც ეროვნული არქივი, საჯარო ბიბლიოთეკა და თავად ნოე ჟორდანიას შთამომავლობა გვეხმარება.

ნოე ჟორდანიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნება ასევე ორდღიანი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ტრადიციულად 1918-21 წლებს ეძღვნება.

კულტურის სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის შეთანხმების საფუძველზე ჩვენ მოვამზადებთ ძალიან საინტერესო მასალა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის ქრონიკა, რომელზეც ჩვენმა თანამშრომლებმა დიდი შრომა გასწიეს. ამ გამოცემაში ძირითადად ვეყრდნობით მაშინდელ პრესას, რომელიც დიდი გულისყურით ადევნებს თვალს კულტურულ მოვლენებს და ყველაფერს აღრიცხავს. ამ ქრონიკებში ჩვენ ვნახავთ უკვე ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს, ასევე გავეცნობით ბევრ უცნობ ფაქტსაც.

უკვე გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უნივერსიტეტსა და იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში თითქმის ბოლომდე მიყვანილი პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ნოე რამიშვილის კარგად ილუსტრირებული ალბომის გამოცემას. მასში შევა დოკუმენტური მასალა, რომელიც ინახება ეროვნულ არქივსა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. მოგესვენებათ, რომ ნოე რამიშვილის შვილმა, მიშელ რამიშვილმა მამის დოკუმენტური მასალა გადმოგვცა. ასევე საინტერესო მასალა ინახება ტიერი ბერიშვილის მიერ გადმოცემულ არქივში. ეს ყველაფერი თავს მოიყრის ამ ალბომში.

ჩვენ უკვე ორი წელია ვმუშაობთ დიდ ენციკლოპედია-ლექსიკონზე, რომელსაც ასევე ერქმევა — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა — 100“. გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო პუბლიკაცია — 600-700 გვერდიანი




ზურაბ გაიპარაშვილი

ნაშრომი, რომლის შედგენაშიც მონაწილეობენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და დოქტორანტები ყველა მიმართულებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა ჩვენი (უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მომზადებული) პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო ფორუმის — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ — მოდელი ევროპისათვის?“ — ჩატარებას. მასში მონაწილეობას მიიღებენ არა მხოლოდ ქართველი სპეციალისტები, არამედ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, რომლებიც ამ ეპოქაზე მუშაობენ. ასევე გაიმართება ოთხდღიანი საზაფხულო სკოლა, რომელშიც, ჩვენს სტუდენტებთან ერთად, 10 უცხოელი სტუდენტიც მიიღებს მონაწილეობას და ახალგაზრდებს კიდევ მეტ ინფორმაციას მივანოდებთ ამ მღელვარე არასრული სამი წლის შესახებ, რომელმაც, ფაქტობრივად, ეპოქა შექმნა საქართველოს ისტორიაში.

საიუბილეო წელს ვგეგმავთ თანამშრომლობას ქალაქ თბილისის მერიასთან, რომელიც ასევე აქტიურად აპირებს აღნიშნოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავი.



ნოე რამიშვილის ოჯახში დაცული ფოტოები



„სურვილების ხა“ და ახინკული ნახკრები

ახალი წელი ის დღესასწაულია, რომელსაც მხოლოდ პოზიტივი შეაქვს ადამიანთა ცხოვრებაში. ეს ის დროა, როცა საკუთარ სურვილებსა და საახალწლო ჩანაფიქრებს ხმამაღლა ვამბობთ, როცა გეგმებს ვსახავთ, მიზნებს ვაკონკრეტებთ, ერთმანეთს იმედებსა და სურვილებს ვუზიარებთ. მართალია, ოცნებების დიდი ნაწილი, მეტისმეტად პოზიტიური განწყობის გამო, უტოპიურია, მაგრამ მომავალზე ფიქრი და წინასახალწლო სურვილები მაინც დადებით მოვლენად მიგვაჩნია. ეს ერთიორად ზრდის დასახული მიზნის მიღწევის შანსს.

რა სურვილები ამოძრავებთ უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს, რაზე ოცნებობენ და რის ახდენას ისურვებდნენ 2018 წელს — ამის თაობაზე, ალბათ, ინფორმაცია უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელობას! — ვინ იცის — იქნებ სწორედ მათ შეძლონ „სურვილების ხეზე“ აკინძული ნატვრების ასრულება...

ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის ვისურვებდი სახელფასო ანაზღაურების ზრდას

ვასილ კაჭარავა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი:

ჩემი სურვილია, უნივერსიტეტმა 100 წლის იუბილე ღირსეულად აღინიშნოს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო უნივერსიტეტისთვის, არამედ მთელი ქართული საზოგადოებისთვის. ეს უნივერსიტეტის ცნობადობისთვის კიდევ ერთი კარგი საშუალებაა, როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს მასშტაბით. არ დაგვაწყინდეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეთრი ტაძარი“ იყო ის ძირითადი ორგანიზაცია, რომელმაც საბჭოთა პერიოდში საქართველოს სულიერება და კულტურა გადაარჩინა. ვისურვებდი, რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა კვლავ დაიბრუნოს ქართული კულტურული სულიერების ავანგარდის ადგილი.

უნდა გაიზარდოს ქართული პროფესორის პრესტიჟი და მნიშვნელობა საზოგადოებაში. მიმაჩნია, რომ ქართული საზოგადოება და ქვეყნის მთავრობა არ იყენებს საკმარისად იმ პოტენციალს, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია და ამით ძალიან ბევრს კარგავს. ის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალური და სამეცნიერო პოტენციალი სათანადოდ არ არის გამოყენებული, აფერხებს ქვეყნის განვითარებას. აუცილებელია, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ იზრუნოს, რათა ქართული პროფესორის ადგილი საზოგადოებაში კიდევ უფრო გამოიკვეთოს, უფრო ღირსეული და პრესტიჟული გახდეს.

ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის კი ვისურვებდი სახელფასო ანაზღაურების ზრდას, რომელიც არასდროს იყო მაღალი და, დღევანდელი ინფლაციის პირობებში, საკმაოდ მცირეა. თუ გვინდა, რომ ღირსეულად ვიმუშაოთ, მაპატიეთ და, პურის ფულზე და დამატებით სამუშაო ადგილებზე არ უნდა ვფიქრობდეთ, ორიენტირებული უნდა ვიყოთ მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტზე და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. მეცნიერება ისეთი რამ არის, რომ პროფესორი მეცნიერებაზე უნდა ფიქრობდეს, იკვლევდეს, ეძიებდეს... კარგი პროფესორი სამეცნიერო საქმიანობის გარეშე ვერ იქნები. პირველ რიგში, სამეცნიერო სფეროში უნდა ვიმუშაოთ, სამეცნიერო პროდუქტი შევქმნათ. აქ უნდა ხდებოდეს ჩვენი ინტელექტუალური შესაძლებლობების

ზრდა და განვითარება. მხოლოდ ამის შემდეგ, აკუმულირებული ცოდნის მეშვეობით, შეიძლება ვიმუშაოთ სტუდენტთან... უნივერსიტეტის წარმატებულ სტუდენტს წარმატებული პროფესორა ზრდის.

ასევე, სასურველია მეტად შეწყოს ხელი პროფესორის კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი მივლინების დაფინანსებას უცხოეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. ასევე უნდა ვიზრუნოთ სტუდენტების სასწავლო პრაქტიკებსა და სტაჟირებებზე. ეს კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის წარმატებულ უნივერსიტეტებში. დღეს მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტი სტუდენტებს საზაფხულო სასწავლო პრაქტიკებზე უშვებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ეს აუცილებელია სტუდენტის კულტურული ზრდისთვის. თუ ლუვრი და პრადო არ გაქვს ნანახი, მარტო თეორიული სწავლება საკმარისი არ არის და განათლება ვერ იქნება სრულფასოვანი. მართალია, სასწავლო სტაჟირებები და პრაქტიკები არის ჩვენს უნივერსიტეტში, მაგრამ კიდევ უფრო გაფართოება სჭირდება.

მინდა, თსუ-ის წიგნების მალაზიის მუშაობის პრინციპი გამოსწორდეს. ის, პირველ რიგში, სტუდენტების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, აქ უნდა მოიძიონ მათ სასწავლო ლიტერატურა. ჩვენი წიგნების მალაზია კი სრულიად სხვა პრინციპით მუშაობს — ყიდის მხოლოდ იმ წიგნებს, რომელსაც თსუ-ის გამომცემლობა ბეჭდავს. სტუდენტს უნდა შეეძლოს ადგილზე შეიძინოს სახელმძღვანელო, რომ დრო არ დაკარგოს წიგნის მალაზიებში სარბენად. ვფიქრობ, ამის ორგანიზება ძნელი არ უნდა იყოს.

კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტში გაიხსნება ე.წ. Faculty Club ანუ პროფესორის თავშეყრის ადგილი. თუნდაც პატარა, კოხტა და მყუდრო კაფე, სადაც პროფესორები ერთმანეთს შევხვდებით, ვისაუბრებთ, დავეკონტაქტებით უცხოელ კოლეგებს, ანუ როგორც ეს მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტში ხდება. სწორედ ასეთ შეხვედრებზეა სამეცნიერო საუბრები, აზრთა გაზიარება, იდეების „დუდილი“. ისეთი გარემო უნდა შევქმნათ, რომ ყველა პროფესორს უხაროდეს მოსვლა და კოლეგებთან გასაუბრება.

დღეს უნივერსიტეტში ბევრი სასიკეთო რამ კეთდება, ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მონაწილეობს უნივერსიტეტის გაძლიერებისა და განვითარებისკენ. ინფრასტრუქტურის მხრივაც სასიკეთო ძვრებია, ამას ვხედავთ და ვაფასებთ. იდეალური მდგომარეობა არც სტენფორდის უნივერსიტეტშია!

ვისურვებთ ყველას წარმატებებს და გაძლიერებულ, გამთლიანებულ ქვეყანაში ცხოვრებას!

ვისურვებდი, რომ საქართველოს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წმინდანად შერაცხოს

ბასარიონ ზოიკა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი:

ვისურვებ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი ისტორიული მისია კვლავაც შეასრულოს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყველა სხვა უმაღლესი სასწავლებლისთვის მისაბამია და ეს ტრადიცია უნდა გააგრძელოს, იყოს სანიშნო განათლების ევროპეიზაციის პროცესის განხორციელებაში.

ივანე ჯავახიშვილი, ფაქტობრივად, ქართული საზოგადოებისათვის და მეცნიერებისთვის წარმოადგენს ინტელექტუალურ წმინდანს. ამიტომ, ვი-

სურვებდი, რომ საქართველოს ეკლესიამ იგი ოფიციალურად წმინდანად შერაცხოს.

ვისურვებდი ისეთი სასაუბრო კლუბის შექმნას, სადაც ყველა საფეხურის სტუდენტს გამოცდილების ურთიერთგაცვლა შეეძლება

ნანა შათაშვილი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

ვისურვებდი, რომ 2018 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე პრობლემა მოგვარდეს. ადმინისტრაციამ სტუდენტს უნდა დაანახოს, რომ პროფესორს, რომელსაც ირჩევს კონკურსით, ენდობა და მოერთხილება სჭირდება. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში სტუდენტებში პასუხისმგებლობის გრძობა მოიმატებს და ლექციებს ინტენსიურად დაესწრებიან, რაც დღეს ასე არ ხდება — ისინი დარწმუნებული არიან, რომც არ ისწავლონ, მაინც არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ, რადგან უნივერსიტეტში დაფინანსება მოაქვთ. თუმცა პრობლემა ექმნება პროფესორის კვალიფიციურ მუშაობას და შედეგად მისი უნივერსიტეტში დარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს.

პროფესორს დიდი სამუშაო აქვს, როგორც პედაგოგსა და მეცნიერს, ამიტომ დამატებით დროს არ უნდა ხარჯავდეს ისეთი საკითხების მოგვარებაში, როგორც არის, მაგალითად, ინ-

ფრასტრუქტურის გაუმართაობა (ლაპარაკია ჩვენი ფაკულტეტის კორპუსებზე). სწორედ აუდიტორიაში დაფა არ არის, წყალი არ მოდის, გათბობა არ არის, საპირფარეო მოუწესრიგებელია და ასე შემდეგ. ჩვენ, პროფესორებს, წაყენებული გვაქვს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები, თუმცა სამეცნიერო მუშაობის პირობები და სწავლების ფორმატიც საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. მაგალითად, სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით მაგისტრანტებისათვის და დოქტორანტებისათვის არაა გამოყოფილი სამუშაო სივრცე, სადაც მათ შეეძლებოდათ კვლევითი სამუშაო ერთად ჩატარება, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება. ვისურვებდი ისეთი სასაუბრო კლუბის შექმნას, სადაც ყველა საფეხურის სტუდენტს გამოცდილების ურთიერთგაცვლა შეეძლება.

ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტს მომავალ წელს ბევრად გააუმჯობესებინოს თავისი შესაძლებლობები

ზურაბ დავითაშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

უნივერსიტეტში არის ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემები, შესაბამისად, ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტს მომავალ წელს ბევრად გაუმჯობესებინოს თავისი შესაძლებლობები. ასევე ვისურვებდი, რომ უფრო



„სურვილების ხე“ და ახილული ნახვრები

გა-8 გვ-დან

ინტენსიური გახდეს კავშირები საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებთან როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის. 2018 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსებიდან 100 წელი უსრულდება, ეს საიუბილეო თარიღია და მინდა, რომ ბედნიერი წელი იყოს პირველი ქართული უნივერსიტეტისთვის. ის ჩვეულებრივი უმაღლესი სასწავლებელი არ არის და გაცილებით ბევრს ნიშნავს, ვიდრე რომელიმე სხვა უნივერსიტეტი.

შო უნივერსიტეტი კავკასიის რეგიონში, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი მისი პრესტიჟისა და პოპულარიზაციის ასამაღლებლად. ეს ყველაფერი გაკეთდება იმ მეცნიერთა მონაწილეობით, რომლებიც ღირსეულად იქნებიან წარმომჩინი უნივერსიტეტში. მომავალ წელს თსუ 100 წლის ხდება. მინდა, მთელ ქართულ საზოგადოებას მივულოცო ეს საიუბილეო თარიღი.

2018 წელს გამოცხადდება კონკურსები აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, ვისურვებდი, რომ ეს კონკურსები წარმატებით და ობიექტურად ჩატარდეს.



ვისურვებდი, რომ აკადემიური კონკურსები წარმატებით და ობიექტურად ჩატარდეს

ავთანდილ სილაბაძე, თსუ-ის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— უნივერსიტეტს ვუსურვებ უფრო დიდ წარმატებებს როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო კუთხით. ის სანიმუშოა.

მინდა სტუდენტებს ჰქონდეთ ბავრი მოგზაურობის შესაძლებლობა

ხათუნა კაჭარავა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ჩემი სურვილები სტუდენტებს უკავშირდება, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა პიროვნე-

ბებად იგრძნონ თავი უნივერსიტეტში, ჰქონდეთ კომფორტული გარემო არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის, არამედ ლექტორებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც; ჰქონდეთ სწავლის მოტი-

ვაცია და რაც შეიძლება ბევრი მოგზაურობის შესაძლებლობა, რადგან, რასაც სწავლობენ, საკუთარი თვალთა და იხილონ. ამის საშუალება უკვე არსებობს და 2018 წელს თსუ ამას განახორციელებენ, ძალიან კარგი იქნება“.

რა სურთ სტუდენტებს?

ვისურვებდი, რომ სასაქონლო და ფინანსება გაუმჯობესდეს უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს

დავით კვარაცხელია, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— ჩემი სურვილია, რომ სახელმწიფომ დაფინანსება გაუმჯობესოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს. ამ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ იმის რესურსი, რომ სამეცნიერო კვლევები შეუფერხებლად და სათანადოდ განახორციელონ. ეს, აგრეთვე, ხელს შეუწყობს სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნას, უცხოური სასწავლო ლიტერატურის თარგმნას და გამოცემას. ვისურვებ, რომ სტუდენტებისთვის გაიხსნას მყუდრო, კომფორტული და გემოვნებით მოწყობილი კაფეტერია, სადაც ლექციებიდან ლექციამდე დასვენებას შეეძლებათ.

ბევრა, ან ჯგუფებში ადგილი აღარ არის, ცხრილების მოწესრიგება ნამდვილად მეტ კომფორტს შეგიქმნის სტუდენტებს.

ახალ წელს მივულოცავ ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს, წარმატებებს და ღირსეულ ცვლას ვუსურვებ.

ვისურვებ, უნივერსიტეტის ლაბორატორიები ინოვაციური ტექნიკური მოწყობილობებითა და ინვენტარით აღიჭურვოს

ირაკლი მაისურაძე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— სურვილი მაქვს, უნივერსიტეტმა საქმიანობა ინოვაციების დანერგვის მიმართულებითაც გააძლიეროს. ინოვაციური მიდგომა უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია და ის სწავლების ხარისხის ზრდას შეუწყობს ხელს. ვისურვებ, უნივერსიტეტის ლაბორატორიები ინოვაციური ტექნიკური მოწყობილობებითა და ინვენტარით აღიჭურვოს.

ვან სართულებზე უკეთეს გათბობას... მიუხედავად იმისა, რომ მე 100%-იანი გრანტი მაქვს და ჩემთვის პრობლემა არ არის, სტუდენტებისთვის უფრო გამარტივებულ და რამდენიმე თვეზე გადაინაწილებულ სწავლის გადახდის მექანიზმს ვისურვებდი. ასევე, მინდა, სტიპენდიები გაიხსნას რეალური დამსახურების მიხედვით და არა უხარისხო კონფერენციების გათვალისწინებით.

ვისურვებდი გაცვლით პროგრამებს ჩემს ფაკულტეტზე

გიორგი ღუნდუა, თსუ-ის სიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი:

— გაცვლითი პროგრამები ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს არ აქვს და მინდა, 2018 წლიდან დაემატოს.

მინდა, III კორპუსის ეზოს კედლები ფსიქოლოგიის თემატიკის მიხედვით მოიხატოს

ირაკლი ჩარქაიანი, თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი:

— ვისურვებდი, რომ III კორპუსის ეზოს კედლები ფსიქოლოგიის თემატიკის მიხედვით მოიხატოს.

მინდა, უნივერსიტეტში დიდი სასახლეო კარნავალი ჩატარდეს

ნათა ღირსიაშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I სტუდენტი:

— სასახლეო მილოცვებს მეც ვუერთდები და ჩემს სურვილსაც გაგიზიარებ: მინდა, უნივერსიტეტში დიდი სასახლეო კარნავალი ჩატარდეს, სადაც ყველა ფაკულტეტის სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი მიიღებს მონაწილეობას. ჩემს თავს და თანაკურსელებს კი სწავლაში წარმატებას და მიზნების განხორციელებას ვუსურვებ.

ჩემი სურვილია, ყველა კორპუსი ლამაზად მოირთოს

ნინო ჭალიძე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— ახალი წელი ჩემთვის ყველაზე საყვარელი დღესასწაულია. ამ დღეს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად აღვნიშნავ. მინდა, სახეიმი განწყობა უნივერსიტეტშიც დამხვდეს. ჩემი სურვილია, ყველა კორპუსი ლამაზად მოირთოს. მინდა, ბევრ ბედნიერ სახეს ვხედავდე. ვულოცავ ჩემს მეგობრებს და ჩემს პედაგოგებს ამ დღესასწაულს საუკეთესო სურვილებით.

მინდა, უნივერსიტეტის ფოტოში სიმღერა ისმოდას

თამაზ სანიკიძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— ამ ახალ წელს მინდა, ყველა ჩემს ახლობელს ბედნიერება ვუსურვო, თანაკურსელებს კი — მიზნებისა და ოცნებების ასრულება. ჩემი სურვილია, ამ ახალ წელს, უნივერსიტეტში დიდი ნაძვის ხე დადგან, იმაზე დიდი, ვიდრე წინა წელს იყო, ფოიეში კი სიმღერები ისმოდეს“.

მინდა, სასახლეო, უნივერსიტეტმა ნაძვის ხის ზეიმზე მიუსაფარ და სოციალურად დაუცველ ბავშვებს უმასპინძლოს

ანუკა ფირცხალავა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— მინდა, სასახლეო, უნივერსიტეტმა ნაძვის ხის ზეიმზე მიუსაფარ და სოციალურად დაუცველ ბავშვებს უმასპინძლოს. ჩვენ კი, სტუდენტებმა, ცოდნის ტაძარზე მოვუთხოვოთ, სიხარული და სიბოლო ვაჩუქოთ, სასახლეო საჩუქრები დავუთხოვოთ, ბავშვებში სწავლის სიყვარული გავაძლიეროთ, მეცნიერებისადმი ინტერესი გავუღვიძლოთ და იმედი ვაჩუქოთ... დედა-უნივერსიტეტის კარი მათთვის ყოველთვის ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

მოამზადა თამარ დადიანა, ნატო მოკლაძე, შურთხია ბაროშვილი

დიმიტრი კორძაია „უჩინარი“ ახალი წელი

შარტხია ბაროშვილი

„ბაბუამ თქვა: — აი, ახალი წელიც მოვიდა!“... ოთახში სანთლები ენთო, გარეთ თოვების და ფოიერვერკების ხმა ისმოდა, ტელევიზორში „მრავალჟამიერს“ მღეროდნენ, მე გაოცებული ვიყურებოდი აქეთ-იქით... ვერ გავიგე, ყველას ასე ძლიერ რა უხაროდა, ირგვლივ არავინ ჩანდა ოჯახის წევრების გარდა, რომლებიც ერთმანეთს „რადაცას“ ულოცავდნენ, ბაბუა კი ამტიკებდა, რომ ახალი წელი მოვიდა“, — ასე ლამაზად და ზღაპრული ელფერით შემოვიდა და ჩარჩა „უჩინარი“ ახალი წელი მის ცხოვრებაში, ამიტომ დღემდე ამ განწყობით — იმედებით, სიხარულით და ახლის მოლოდინით ხვდება დღესასწაულს.

მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ „ის ნამდვილად მოდის“, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ დიმიტრი კორძაიას ყოველი ახალი წელი საინტერესო და განსხვავებულია, თუმცა ერთი რამ არ იცვლება — დღესასწაულს ყოველთვის ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად ხვდება...

ბავშვობა თბილისში, ფიქრის გორაზე გაატარა. დიდ ოჯახში ახალი წლის სამზადისიც იმ ტრადიციების ნაწილი იყო, რომელსაც ტიტე ბაბუა და მარიამ ბებო ამკვიდრებდნენ. პირველ შვილიშვილს ბებია და ბაბუა განსაკუთრებით ანებივრებდნენ, მშობლები დაკავებულნი იყვნენ: მამა უნივერსიტეტში ფილოსოფიის კათედრის გამგე იყო, დედა — სამედიცინო ინსტიტუტში ფილოსოფიის კათედრაზე მუშაობდა, მაგრამ ახალ წელს ყველა იცლიდა და განსა-



დიმიტრი კორძაია

კუთრებულად ემზადებოდნენ. „როგორც ყველა ქართულ ტრადიციულ ოჯახში ჩვენთანაც კეთდებოდა გოზინაყი და საცივი... გოზინაყს ბებია აკეთებდა, მერე დედა, ახლა ჩემი მეუღლე აკეთებს, მაგრამ მე ყველაზე მეტად მამიდას გაკეთებული გოზინაყი მომწონდა — პატარა ბურთულები მოხალული ნიგვზით... ნაძვის ხეს ჩემს ბავშვობაში დედა რთავდა — დილით გაღვიძებულს მეუბნებოდნენ, რომ თოვლის ბაბუამ მომიტანა... მაშინ ჯერ კიდევ სანტაკლაუსის შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ ახალი წლის ღამეს სურვილებს ჩავუთქვამდი და მათი ასრულების გეგმავოდა... ახლა მეუღლესთან ერთად ვრთავ ნაძვის ხეს შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის“... კორძაიების ოჯახში მეკვლეს დღესაც დიდი სიხარულით ელიან, მაგრამ ბავშვობაში მოსული პატარა მეკვლე მაინც სხვანაირად დაამახსოვრდა: „ექვსი წლის ვიყავი, კარზე კაკუნი გაისმა და ოთახში ჩემი

ბიძაშვილი ჭაბუა ჭაბუკიანი შემოვიდა ბიძაჩემთან, ოთარ ჭაბუკიანთან ერთად. ჭაბუკას მხრებზე ლეჩხუმიდან ჩამოტანილი ძველი ნაბადი ჰქონდა მოხვეული და ხელში ტკბილეული ეჭირა, ძალიან კარგი შეგრძნება იყო, მას შემდეგ მეც ხშირად ვყოფილვარ მეკვლე“, — იხსენებს დიმიტრი კორძაია.

საოჯახო ფოტო-ალბომში საბავშვო ბაბუა ახალი წლის ზეიმების ამსახველი ფოტოები დღესაც ინახება. მაშინ ნაბადიანი, თეთრწვერა, ყაბალახიანი თოვლის პაპა და რუსი „დედ მოროზი“ ერთად ულოცავდნენ „საბჭოთა კავშირის“ ბედნიერ ბავშვებს ახალ წელს. ერთ-ერთ ზეიმზე თავადაც განასახიერებდა თოვლის ბაბუას. „მასხოვს, ერთ ზეიმზე თოვლის ბაბუა ვიყავი, ლევან უჩანეიშვილი კი — მეკვლე. გრიმის გასაკეთებლად ბებიამ პიონერთა სასახლეში წამიყვანა, სადაც თეთრი წვერი დამამაგრეს. სკოლის პერიოდში სცენაზეც ვმსახიობობდი, „ოტელოს“ როლიც კი მაქვს შესრულებული. ზეიმებზე ლექსებსაც ხალისით ვკითხულობდი. მამა პოეზიის დიდი მოყვარული იყო და მისი სიყვარული მისგან გამომყვა. მასხოვს, რა გრძობით ვკითხულობდი სიმონ ჩიქოვანის ლექსს, — „ვინა სთქვა“... ასე რომ, ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებები დღემდე მომყვება“.

ბატონი დიმიტრი სკოლის პერიოდში და სტუდენტობისას, ჩოხა-ახალუბში გამოიწყო, მეგობრებთან და ნათესავებთან მიდიოდა მეკვლედ. ერთხელ თოხაძეების ოჯახს ცხენითაც კი მიადგა. ტრადიციული სამოსით ახალი წლის შეხვედრის ტრადიცია სამედიცინო ინსტიტუტშიც დაამკვიდრა. მაგრამ განსაკუთრებული ის ახალი წელი იყო, როდესაც

მომავალ მეუღლეს ოჯახში ესტუმრა. „ეს ჩემი პირველი ვიზიტი იყო მის ოჯახში და, რა თქმა უნდა, ველეადი. წელს შეუღლებიდან 30 წელი გვისრულდება და, შემძლია ვთქვა, რომ ჩვენც ვინარჩუნებთ ოჯახებიდან გამოყოფილ ტრადიციებს, თუმცა მენიუ ცოტა შეიცვალა, სუფრაზე სამარსვო კერძები ჭარბობს. განსაკუთრებულად ვხვდებით შობის დღესასწაულს — ტაძარში მივდივართ, ფანჯრებთან კი სანთლებს ვანთებთ...“

ახალი წლის მომდევნო დღეებში მეგობრებისა და ნათესაობის მონახულება ერთგვარი რიტუალია. დიმიტრი კორძაია სიამოვნებით იხსენებს კოლეგებთან გატარებულ ახალი წლის დღეებსაც: „ბოლო წლებია, ჩვენს უნივერსიტეტში კოლეგებთან ერთად ახალი წლის აღნიშვნა კარგ ტრადიციად იქცა. ზოგჯერ თამადაც ვარ, სიამოვნებით ვკითხულობ ლექსებსაც. ეს ახალი წელი კი განსაკუთრებული იქნება უნივერსიტეტისთვის, რადგან 100 წლის იუბილე გვიახლოვდება — ამ ეპოქის ზოგადი ფრაზებით ვერ გადმოვიცემ. ჩემი სურვილია, ამ იუბილეს ღირსეულად შევხვდეთ და უნივერსიტეტმა იმ მაღალი ღირებულებებით გააგრძელოს ცხოვრება, როგორც მის დამაარსებლებს ჰქონდათ ჩაფიქრებული და თავის ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის. მედიცინის ფაკულტეტისთვის ეს წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იწყება საერთაშორისო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პერიოდი, ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რომლის მისაღწევად ძალისხმევაა საჭირო. ყველას ვუსურვებ მიზნების მიღწევას და სურვილების ასრულებას!“.

„AVE, EVA!“ – დათო მალრაძის წიგნის პრეზენტაცია

შარტხია ბაროშვილი

„ჩემი ახალი პოეტური კრებულის წარსადგენად უნივერსიტეტი შევარჩიე, რადგან მშობლიურ გარემოში ყოველთვის უკეთესად ვგრძნობ თავს“, — ასე მიმართა პოეტმა დათო მალრაძემ თსუ-ის მუზეუმში შეკრებილ საზოგადოებას, სადაც მისი ახალი წიგნის „AVE, EVA!“-ს პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ის სტუდენტები, პროფესორები, მონკვეული სტუმრები დაესწრნენ.



გერტ გრიუნერტი უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა



დათო მალრაძე

„დათო მალრაძე გამორჩეული უნივერსიტეტელია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს უკვე ცნობილი პოეტი სწორედ ამ კედლებში წარადგენს თავის კრებულს, რომელშიც ბოლოს შექმნილი პოეზიის ნიმუშებია თავმოყრილი. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტია აგრეთვე ის,



რომ ღონისძიებას ესწრება გერმანელი ქართველოლოგი გერტ რობერტ გრიუნერტი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის, პოეზიის პოპულარიზაციის საქმეში. სწორედ ამ დამსახურების გამო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ იგი დააჯილდოვოს უნივერსიტეტის მედლით“, — განაცხადა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

ალსანიშნავია, რომ გერტ რობერტ გრიუნერტმა ნინო პოპიაშვილთან ერთად გერმანულ ენაზე თარგმნა დათო მალრაძის ლექსები და პოემა, რომლის შესახებ ვრცლად ისაუბრეს

მთარგმნელებმა და მკითხველს გერმანული თარგმანები გააცნეს. პოეტის ახალი კრებულის შესახებ რეცენზია წარმოადგინა პროფესორმა პაატა ჩხეიძემ, თავად პოეტმა კი დამსწრე საზოგადოებას და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა მონვევისათვის და თავისი ლექსები წაიკითხა.

„მოდა ყოველთვის დროს ექვემდებარება, ჩაივლის იგი პოდიუმების ბილიკით და ნამდვილი ხელოვნება დარჩება. სამწუხაროდ, დღეს ეს ფასეულობები, სულიერების თვალსაზრისით, აღრეულია და, შეიძლება ითქვას, რომ დაცემის ეპოქაა —

ყველა ასპარეზზე თავისი ფსევდონარმონაქმნი აქვს. ამ ქაოსში შესაძლოა ადვილად დაიბნეს ადამიანი და ვერ გამოარჩიოს ნამდვილი არანამდვილისაგან, გულწრფელობა — პათეტიკისაგან. ქართველი კაცი თავისი ნესიერებით აგრძელებს თავის წუთისოფელს, ალბათ ეძებს თავის სულიერ ნავსაყუდელს, სულიერ კუნძულებს... შეიძლება გამოსავალს ვერ ვთავაზობთ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ ახალი წლის მოსვლასთან დაკავშირებით ვისურვებდი — ჩვენი საზოგადოების ნაწილი მაინც გამორკვეულიყოს ამ დიდი ქაოსიდან, რომელიც შემოგვთავაზა ეპოქამ. თუ ამ გზაზე ჩემ მოკრძალებულ წვლილს შევიტან, ბედნიერი ვიქნები. მინდა, მადლობა გადავუხადო აქ დამსწრე საზოგადოებას, მადლობა მთარგმნელებს, ბატონ გერტს და ნინო პოპიაშვილს, მადლობა უნივერსიტეტს“, — განაცხადა დათო მალრაძემ წიგნის პრეზენტაციაზე.

თსუ-ის გუნდი ევროპული იმიტირებული სასამართლო პროცესის შიდა მხარეზე გავიდა

ნაბო კობლაძე

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის გუნდი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ლტოლვილთა სამართლის საერთო ევროპული იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრში პირველ ადგილზე გავიდა. შეჯიბრის ფინალი მიმდინარე წლის 21-25 ნოემბერს ლუბლიანას უნივერსიტეტში (სლოვენია) გაიმართა.



ლი კაზუსი და დაემატა ახალი გარემოებები, რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართლის ცოდნასაც ამომწებდა. ამ ეტაპს ბრალდებულის დადასტურების ეტაპი ეწოდება და ეს პროცედურა მოქმედებს მხოლოდ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში. ამიტომ, ამ ტურის დაწყებამდე, ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისის წარმომადგენელმა ბეტი ჰოლდერმა სპეციალური სესიაც ჩაგვიტარა. ფინალური ეტაპი სლოვენის საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა, ჟიურის წევრი შვეიცარიის ელჩიც გახლდათ. — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა რევაზ ტყემალაძემ.

„იმიტირებული სასამართლო პროცესების ფორმატი ისეთივეა, როგორც რეალური; შესაბამისად, საკმაოდ სერიოზული ვითარებაა. ცოდნის გამოყენება კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით გვიწევს. ეს არის ის, რაც იურისტთა თვისი საქმიანობის განხორციელებისას უნდა შეძლოს. ამ მხრივ, ჩვენთვის შეჯიბრში მონაწილეობამ დიდი გამოცდილება მოგვცა. ასევე გამოვეყენებოდა იმასაც, რომ ჩვენ, შეჯიბრის ფარგლებში, გვიწევდა ინგლისურ ენაზე მუშაობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისთვის.“ — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტმა სალომე შუბლაძემ.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ლტოლვილთა სამართლის საერთო ევრო-

პული იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრისთვის გუნდის წევრები იურიდიულ ფაკულტეტზე გამოცხადებული შიდა კონკურსის ფარგლებში შეირჩნენ. მოსამზადებელი ეტაპი 2 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. გუნდის წევრთაგან იყო სამართლის დოქტორი და თსუ-ის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასისტენტი სანა ფიფია. გუნდს ასევე ამაზღებდნენ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პროფესორები და დოქტორანტები, კერძოდ, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ლექტორები: ნათია კალანდარიშვილი და ინსტიტუტის დოქტორანტი ონისიმე ცხოველიძე. აკადემიკოსმა ლევან ალექსიძემ კი გუნდის კონკურსზე გამგზავრება უზრუნველყო. გუნდის წევრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს თსუ-ის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტს და იურიდიულ ფაკულტეტს, რადგან, მათი თქმით, სამართლის სხვადასხვა დარგებიდან მიღებული ცოდნა ძალიან დაეხმარათ, რაზეც ჟიურის რამდენიმე წევრმა გაკვირვებაც კი ვერ დამალა.

„იმიტირებული სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პროცესი საკმაოდ საინტერესო იყო, მაგალითად, ლტოლვილთა სამართლის მიმართულებით. ჯერ ვიყავით ლტოლვის სტატუსის მაძიებლების ინტერესების დამცველები, შემდეგ კი სახელმწიფოს პოზიციების. სხვათა შორის, რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც გაცივება ვერ დაფარეს

გარდა იქ არც ერთი ქართული გუნდი არ იყო. თუმცა, იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც ჩვენი ქვეყნის დროშა უნდა გაგვეტანა, საქართველოს ძველი დროშა მოიტანეს. ორგანიზატორები მაშინვე მიხვდნენ შეცდომას და გამოასწორეს. სხვათა შორის, ვთხოვე, სახსოვრად გადმოეცათ ძველი დროშა, მინდოდა როგორც სუვენირი წამომეღო, მაგრამ, რატომღაც, უარი გვითხრეს“, — გვითხრა დავით ჯავახიშვილმა.

სალომე შუბლაძე და რევაზ ტყემალაძე ამ დროისთვის, სწავლის პარალელურად, სტაჟირებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გადიან. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, დავით ჯავახიშვილი და სალომე შუბლაძე, ჰუმანიტარული სამართლის მიმართულებით, მომავალ წელს დაგეგმილ პიქტეს საერთაშორისო კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას; რევაზ ტყემალაძე კი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრში ჩაერთვება.

საერთაშორისო ჰუმანიტარული და ლტოლვილთა სამართლის საერთო ევროპული იმიტირებული სასამართლო პროცესების ორგანიზატორები ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, გაეროს უმაღლესი კომისარიატი ლტოლვილთა საკითხებში, სლოვენის საკონსტიტუციო სასამართლო და ლუბლიანას უნივერსიტეტი გახლდათ. შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ სამართლის სკოლების მასწავლებლის, ათენის, ვარშავის, ბუდაპეშტისა და სხვა ევროპული უნივერსიტეტებიდან.

აპოლონ სილაგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ახალგაზრდული სამეცნიერო ჯონფარენსია

8 დეკემბერს თსუ-ში აკადემიკოს აპოლონ სილაგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრე (ხელმძღვანელი — პროფ. ნინო ეჯიბაძე). კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა და აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გოჩა ჯავახიშვილმა.

ტერმებს შორის 17 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. წარმოდგენილ მოხსენებებში გაშუქებული იყო აბისტიკის, ასირიოლოგიის, ებრაისტიკა-არამეისტიკის, ირანისტიკის საკითხები ლინგვისტურ, ისტორიოგრაფიულ, ლიტერატურათმცოდნეობით ასპექტში, წარმოდგენილი იყო, ასევე, მოხსენებები ნუმისმატიკაში, აღმოსავლური მუსიკის სფეროში და ა.შ. მოხსენებათა თეზისები, სამეცნიერო წრის ტრადიციისამებრ, დაიბეჭდა. 8 დეკემბრის ღონისძიების ფარგლებში მოხდა ჟურნალ

„აღმოსავლეთმცოდნეობის“ მორიგი, მეექვსე ნომრის პრეზენტაცია. ეს ჟურნალი აკადემიკოს სილაგაძის მიერაა დაარსებული და მისი გამოცემის საქმეს თვითონვე ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე. 2017 წლის ნომერი, რომელიც მის მიერვე იყო კომპოზირებული, სამწუხაროდ, უკვე მის ხსოვნას მიეძღვნა.

„აღმოსავლეთმცოდნეობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში ჩვენი მიმართულებების სამივე საფეხურის სტუდენტები არიან ჩართულნი. გარდა რეგულარული სემინარებისა, ყოველწლიურად ვაწყობთ „შემოდგომის კონფერენციას“, რომელსაც უძღვნილი საუნივერსიტეტო არაბისტიკისთვის მიმდინარე წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ან თარიღს.



აღმოსავლეთმცოდნე სტუდენტთა სამეცნიერო წრის კონფერენციების და სემინარების ერთი სპეციფიკა ისაა, რომ ჩვენი ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალის — „აღმოსავლეთმცოდნეობის“ სარედაქციო საბჭოს წევრები ყურადღებით ვადევნებთ თვალს მათ მუშაობას და განსაკუთრებით წარმატებულ ნაშრომებს ვებეჭდავთ. კარგია, როდესაც არსებობს სტუდენტების სპეციალური სამეცნიერო გამოცემები, მაგრამ, ალბათ, ყოველი სტუდენტისთვის განსაკუთრებით საამაყო თავისი პროფესორების ნაშრომთა გვერდით საკუთარი ნაშრომის ხილვაც მთავარი ისაა, რომ ჩვენ უნდა

ვხედავდეთ — ქართული საუნივერსიტეტო აღმოსავლეთმცოდნეობა ფუნქციონირებას აგრძელებს, ჰარმონიულად ვითარდება. სტუდენტებთან ასეთი კავშირი უკეთ გვიჩვენებს საერთო მუშაობის დადებით თუ უარყოფით მხარეებს და მომავალი გეგმების სწორად მოსტულირებაში გვეხმარება. ზოგადად კი კონფერენციის სამეცნიერო დონე იზრდება. ყოველწლიურად სულ უფრო მეტ წარმატებულ მოხსენებას ვისმენთ, რაც მახარებს“, — განაცხადა აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელმა ნინო ეჯიბაძემ.



ილიას გზა მართალი გზაა...

180

გა-14 გვ-დავ

ლი მწერლები; ელენე ლურსმანაშვილმა თავის მოხსენებაში ისაუბრა — თუ როგორ აისახა XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ილია ჭავჭავაძის პროზა; ნინო მანკავამ განიხილა ფოლკლორული მოტივები ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანში?“ და ამავე ნაწარმოების თანამედროვე ინსცენირება, რომელიც რობერტ სტურუამ განახორციელა სცენაზე. კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს ასევე მარიამ დოლბაიამ („ქრისტიანული მოტივები ილიას პუბლიცისტურ წერილებში“), თინათინ ტენტერაშვილმა („ილია ჭავჭავაძე ცისფერყანწელთა თვალთახედვით“), ანი ჯავახიშვილმა („ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და იოანე საბანისძის „აბოს წამების“ მიმართების ზოგიერთი საკითხი“), მარიამ ჭიკაძემ („ვაჟა-ფშაველას ფენომენი ილია ჭავჭავაძის თვალთახედვით“) და სხვებმა.



ილია „შვილებში“ მოიაზრებოდა. ჩემს მოხსენებაში მინდოდა მეჩვენებინა, რომ ჩვენც მისი შთამომავლები და გზის გამგრძელებლები ვართ და მას ნამდვილად ეკუთვნის ყველასგან, მათ შორის, ჩვენი თაობისგან მადლობა. ჩემს ესეში ილიას შემოქმედების და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები გამოვყავი, მათ შორის, განხილული მაქვს მისი ნაწარმოებები: „კაცია ადამიანი?“ და „მგზავრის წერილები“, რადგან, ჩემი აზრით, პატრიოტული სულისკვეთება და ეპოქის გამოძახილი ყველაზე კარგად ამ ნაწარმოებებშია ასახული. ესეში ვრცლად არის, ასევე, საუბარი ილიას მოღვაწეობაზე; წერა-კითხვის

გამავრცელებელი საზოგადოების შექმნის მნიშვნელობაზე, სათავადაზნაურო ბანკის დაარსებასა და სხვა საკითხებზე. დღესაც კი, როდესაც მისი დაბადებიდან 180 წელია გასული, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა და შემოთავაზებული იდეები კვლავ აქტუალურია. ამიტომ, გადავწყვიტე, რომ ილიასთვის მადლობა მთელი ჩემი თაობის სახელით გადავხადო“, — განაცხადა მარიამ გოჩიაშვილმა.

ლონისძიებზე შეკრებილმა სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა წაიკითხეს ნაწყვეტები ილიას შემოქმედებიდან.

„ილიას იუბილისადმი მიძღვნილი კვირეული წელს განსაკუთრებით ფართოდ აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ძალიან მნიშვნელოვანი იყო სამეცნიერო საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა რამდენიმე ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები; ძალიან აქტუალური და საინტერესო საკითხები გაშუქდა. სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას მსოფლიო სალიტერატურო საზოგადოება ნაკლებად იცნობს და ამ უთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ახლგაზრდები თავიდანვე ჩავართოთ სამეცნიერო საქმიანობაში, რადგან უნივერსიტეტი ზრდის არა მხოლოდ დარგის სპეციალისტებს, არამედ მომავალ მეცნიერებსაც. სასიამოვნოა, რომ კონფერენციაზე სტუდენტებმა საინტერესო თემატიკა წარმოადგინეს, რაც ფაკულტეტზე სწორად წარმართული სასწავლო პროცესის შედეგია. ილია ჭავჭავაძემ უდიდესი როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოს, ქართული კულტურული თუ ეროვნული ცნობიერების ფორმირების საქმეში, ამიტომაც სწორად ვამბობთ — „ჩვენ ილიას გზით მივდივართ“, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ სწორი გზით მივდივართ და ქვეყანა ვითარდება“, — განაცხადა ნანა გაფრინდაშვილმა.

წარმატების წელი სპორტსა და ხელტუარში

გვესაუბრება თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ხარჯავანიძე

თამარ ლალიანი

მომდინარე წელი ჩვენი უნივერსიტეტისათვის საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა. იმართებოდა სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები უნივერსიტეტის ანსამბლებისა და სტუდენტებისათვის სასურველი ცნობილი არტისტების მონაწილეობით.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“ მიმდინარე წლის ივნისში, ბულგარეთში გამართული ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის გრანპრის მფლობელი გახდა. ანსამბლმა გრანპრი პორტუგალიაშიც მოიპოვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მან-სან-კანის“ გუნდი „თსუ“ გახდა შავი ზღვის ფესტივალის ფინალური თამაშის გამარჯვებული.

მიმდინარე წელი დატვირთული იყო სპორტული აქტივობების მხრივაც. უნივერსიტეტის სტუდენტურმა სპორტულმა გუნდებმა მრავალი მედალი მოუტანეს უნივერსიტეტს. 2017 წელი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ წარმატებულ წლად.

ჯგუფი „თსუ-არტი“ აზერბაიჯანული მხარის მინვეთი იმყოფებოდა ქ. ბაქოში, სადაც მუსიკალური ტურნეს ფარგლებში კონცერტები გამართა.

უნივერსიტეტის სპორტული გუნდები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის

მასშტაბით გამართულ თითქმის ყველა ღონისძიებაში. რეგულარულად ეწყობოდა შეჯიბრებები თსუ-ის სპორტულ დარბაზშიც, რაც სტუდენტების მხრიდან დიდი ინტერესს იწვევდა.

ამჟამად უნივერსიტეტის ფუტსალის სტუდენტური გუნდი კვლავ წარმატებით ასპარეზობს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თასის გათამაშებაზე, სადაც 30 უმაღლესი სასწავლებელი იღებს მონაწილეობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტურნირი იმართება მეხუთედ და თსუ-ის გუნდი აღნიშნული ჩემპიონატის ოთხგზის გამარჯვებულია. საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თასის გათამაშების ტურში თსუ-ის ფუტსალის გუნდმა სამედიცინო უნივერსიტეტი ანგარიშით 7-0 დაამარცხა.

ფუტსალის გუნდი ასევე ასპარეზობს ფუტსალის ბიზნეს ჩემპიონთა ლიგაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფუტსალის სტუდენტური გუნდის წარმატება ევროპულ ასპარეზზე. ჩვენმა გუნდმა 2017 წლის ევრო-უნივერსიადაზე ვერცხლის მედლების მოპოვება შეძლო. თსუ-ის გუნდისა და ეროვნული ნაკრების წევრი ნიკოლოზ კურტიანიძე აღნიშნული ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

აღსანიშნავია ჩვენი მცდელობა — დავუბრუნოთ უნივერსიტეტს საკალათბურთო ტრადიცია. წელს უნივერსიტეტის და კომპანია „პიუნდაის“ ერთობლივი ძალის-

ხმევით „თსუ-პიუნდაი“ მეორედ მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონატის „ა“ ლიგაში და იბრძოლებს სუპერლიგაში გადასასვლელად. „თსუ-პიუნდაიმ“ ბიზნეს ლიგის მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენმა გუნდმა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დაამარცხა ანგარიშით 4-2.

თსუ-ის ათლეტიზმის დარბაზში 27 ნოემბერს გაიმართა 2017 წლიდან მსოფლიო თასის სერიაში შემავალი საქართველოს თასის ღია გათამაშება ძალისმიერ სამჭიდში, ორჭიდსა და ცალკეულ მოძრაობებში. საქართველოს გუნდებთან ერთად მონაწილეობდა ირანის ისლამური რესპუბლიკის გუნდი, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობით გამოირჩეოდა, მათ ქალთა შორის გამარჯვება მოიპოვეს. ძალისმიერ სამჭიდში, ვაჟთა შორის, შესანიშნავად იასპარეზეს თსუ-ის სტუდენტებმა. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის გუნდის თითოეულმა წევრმა ოქროს მედალი მოიპოვა.

თსუ-ის სპორტსმენებმა სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებისას ევროპის მასშტაბით 25 და მსოფლიო მასშტაბით 4 რეკორდი დაამყარეს. ეს გამარჯვებები ევროპისა და მსოფლიო რეკორდების ცხრილებშია შეტანილი.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 11 აპრილს ანსამბლი „თსუ გორდელა“, ჰარვარდის ევრაზიის კვლევითი ცენტრის



ირაკლი ხარჯავანიძე

მინვეთი, კონცერტს გამართავს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით, 3 და 4 იანვარს უნივერსიტეტის თეატრალური დასის მონაწილეობით გაიმართება წვეულება თსუ-ის თანამშრომელთა შვილებისათვის.

თსუ-ის 100 წლის იუბილეს ფარგლებში გაიმართება „თსუ გორდელას“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლის, ქორეოგრაფიული ანსამბლის ერთობლივი კონცერტები. ასევე, უნივერსიტეტის კაპელა და „თსუ-არტი“ ჩაატარებენ ერთობლივ კონცერტს, ხოლო თსუ-ის თეატრალური დასი „სხვენი“ გამართავს თეატრალურ წარმოდგენას.



თსუ ბოჩეაძე
ვაჟთა ვოკალური ანსამბლი
უნივერსიტეტი

ქორეოგრაფიული ანსამბლი
უნივერსიტეტი

თსუ ბოჩეაძე ბოჩეაძე
სანსონი ბეჩაშვილი

დასახლება თბილისი
8/12/2017
9:00 სთ.

წლის საუბათესო რესკონდენტები

გაზიტი ის მედიასაშუალებას, რომელიც აუდიტორიის ინფორმირებისთვის საინტერესო, აქტუალურ და კეთილსინდისიერ ინფორმაციას უნდა ავრცელებდეს. გაზიტი „თბილისის უნივერსიტეტი“, რომელიც წლიდან წლამდე საუნივერსიტეტო საზოგადოების ცხოვრებასა და აქტივობებს აშუქებს, დიდწილად დაამოკიდებული იმ რესკონდენტებზე, რომელთაც მუდმივი მზაობა აქვთ რედაქციასთან კომუნიკაციისთვის.

რა გვჭირდება ჩვენ მრავალწლოვანი და საინტერესო მასალების გამოსაქვეყნებლად? — გარემო, სადაც იცინა, რომ გაზიტიც უნივერსიტეტის ორგანიზმის დიდი ნაწილია.

ვინ უნდა უზრუნველყოს ჩვენი გამომცემის ვიზუალურობა? — კვალი-ფიციურმა ჟურნალისტებმა და იმ ადამიანებმა, რომლებიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თუ საფაკულტეტო სივრცეების შესახებ დაუხარლად გვესაუბრებინან და არც გა-



ზიტი „თბილისის უნივერსიტეტის“ ფურცლების გადაჭრა უჭირთ.

ჩვენ ყოველ წელს ვაანალიზებთ, ვინ გვიწყობდა ხელს მუშაობაში და ვინ იყო ყველაზე პასუხისმგებელი-

ნი რესკონდენტი, რომელთან მუშაობაც ჩვენთვის, დიდი პატივის გარდა, უაღრესად კომფორტული გასლდათ.

წელს ასეთ რამდენიმე რესკონდენტს ვასახელებთ:



მიხეილ ჩხენკელი



ზაალ კოკია



თამარ ზარანდია



თამარ ბაგოჭიანი



ლელუჯა ბექვაშვილი



ტინათინ ბოლქვაძე



ზურაბ გომბერელიძე



რუსუტა გუჯაჯიანი



დიმიტრი კორჩია



ვინ იქნება შემდეგი?!

მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

მთავარი სამცხალისტი

მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი

მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტიკი:

ნატო ობოლაძე

თამარ დადიანი

შურთხია ბეროშვილი

ფოტოკომუნიკაციონი

ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა

ზაზა გულაშვილი

რედაქციის წევრები:

რისმაგ გორდუზიანი, იაგო კატკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ლადო პაპავა, მანანა შამილოშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ქალაგანიძე, ირმა რუხაძე

მისამართი:

ილია ჭავჭავაძის გამზ. 13 (თსუ-ის მე-3 კორპუსი)

☎ 222 36 62

ვებგვერდი:

newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:

tsunewspaper@tsu.ge



1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვარსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).